

შპს „ბელო და კომპანია“

ს.კ 401944401

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის,რომელიც დასრულდა

2024 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი

- ✓ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----
- ✓ საქმიანობის შედეგების ანგარიშგება -----
- ✓ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება -----

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები :

- ზოგადი ინფორმაცია -----
- ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა -----
- სავაჭრო მოთხოვნები -----
- სასაქონლო-მატერიალური მარაგები -----
- ძირითადი საშუალებები -----
- სავაჭრო და სასესხო ვალდებულებები -----
- შემოსავლები -----
- გადასახადები -----
- საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები -----
- საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები -----
- ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება -----

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	15,648,520	9,635,632	4,029,568
სავაჭრო მოთხოვნები	3,042,896	3,766,347	3,113,725
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	62,248	307,626	72,879
მარაგები	1,251,380	235,533	359,775
მზა პროდუქცია	0		
სხვა	1,251,380	235,533	359,775
სხვა მიმდინარე აქტივები	80	80	80
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
ძირითადი საშუალებები	25,287,584	24,613,266	21,877,811
სულ აქტივები	45,292,708	38,558,484	29,453,838
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	580,475	69,399	149,232
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	82,033	80,244	76,078
საგადასახადო ვალდებულებები	144,191	244,597	150,700
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	0	0	0
სხვა ვალდებულებები	9,773	9,773	9,773
სულ ვალდებულებები	816,472	404,013	385,783

საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	44,476,236	38,154,471	29,068,055
სხვა კაპიტალი	0		
სულ საკუთარი კაპიტალი	44,476,236	38,154,471	29,068,055
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	45,292,708	38,558,484	29,453,838
სულ მოკლევადიანი აქტივები	80	80	80

შპს “ბელო და კომპანია“

დირექტორი:



სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

	31.12.2024	31.12.2023
ნეტო ამონაგები	19,992,957	21,387,223
საქონლის გაყიდვიდან	1,155,869	2,578,256
მომსახურების გაწევიდან	18,804,590	18,795,607
სხვა	32,498	13,360
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(3,798,917)	(3,668,269)
საწყისი მარაგები	235,533	359,775
მარაგების შესყიდვა	4,814,764	3,544,027
გადამუშავების დანახარჯი	0	0
საბოლოო მარაგები	1,251,380	235,533
საერთო მოგება	16,194,040	17,718,954

სხვა შემოსავალი	2,382	310,533
დასაქმებულთა ანაზღაურება	(2,758,358)	(2,392,391)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,061,586)	(971,823)
საპროცენტო ხარჯი	0	
იჯარის ხარჯი	(1,621,772)	(2,077,959)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(1,529,363)	(1,586,467)
სულ საოპერაციო ხარჯები	(6,968,697)	(6,718,107)
საოპერაციო მოგება	9,225,343	11,000,847
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	9,225,343	11,000,847
მოგების გადასახადი	(335,612)	(248,731)
მოგება/(ზარალი)	8,889,731	10,752,116
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	8,889,731	10,752,116
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	38,154,471	29,068,055
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(2,567,966)	(1,665,700)

კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	44,476,236	38,154,471

შპს “ბელო და კომპანია“

დირექტორი:



ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

	31.12.2024	31.12.2023
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	22,340,993	23,304,321
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	0	307,867
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(16,314,054)	(18,018,220)
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	6,026,939	5,593,968
სავალუტო კურსის ეფექტი	(14,051)	12,096
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	9,635,632	4,029,568
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	15,648,520	9,635,632

შპს “ბელო და კომპანია“

დირექტორი:



ზოგადი ინფორმაცია.

შპს „ბელო და კომპანია“ (ს.კ : 401944401) შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“ -ს მიერ. (თარიღი : 23/02/2010).

საწარმოს იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი , დიდუბის რაიონი, აკაკი ბელიაშვილის ქ : №138.

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო და მძიმე ტექნიკის იჯარა და მომსახურება, ასევე ვახორციელებთ სამშენებლო და მძიმე ტექნიკის გადაზიდვებს და გაქირავებული გვაქვს რამდენიმე საოფისე ფართი და მიწა.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ბელო წვერიკმაზაშვილი იგი ამავდროულად გახლავთ კომპანიის დირექტორიც.

ანგარიშგების ვალუტა: წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართლ ლარში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია

იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებს, როგორც ამას მოითხოვს მსს ფასს-ის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 12 თვიან პერიოდს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებსა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს. მონაცემები ასახულია ერთეულ ლარში, არასრული ციფრები (თეთრებში გამოსახული) დამრგვალებულია ერთეულ ლარამდე საზოგადოდ მიღებული წესით

სამართლიანი წარდგენა - არის სამეურნეო ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და გარემოებების კეთილსინდისიერად ასახვა, აქტივები, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების განმარტებებისა და აღიარების კრიტერიუმების შესაბამისად. მიმდინარე ანგარიშგებაში ყველაფერი ასახულია სამართლიანი წარდგენის პრინციპით.

ფუნქციონირებადი საწარმოდ - მიიჩნევა საწარმო თუ მის ხელმძღვანელობას განზარბული არ აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ან იძულებული არ არის, რომ ასე მოიქცეს. შპს „ბელო და კომპანია“ არც კი განიხილავს მსგავს ფაქტს და არც მსგავსი რისკების წინაშე არ დგას კომპანია. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ფინანსურ ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში

შესადარისი ინფრომაცია - ჩვენი ორგანიზაციის მიერ გამჟღავნებულია წინა პერიოდის შესადარისი ინფრომაცია და თანხები. მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი შინაარსობრივი მონაცემებისათვის, როცა ეს საჭიროა ფინანსური ანგარიშგების გასაგებად.

სავაჭრო მოთხოვნები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას მისაღები თანხები.იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში ან მოკლე პერიოდში ის აღიარდება მოკლევადიანად, წინააღდეგ შემთხვევაში ისინი კლასიფიცირდება როგორც

გრძელვადიანი აქტივები. სავაჭრო მოთხოვნის აღიარება ხდება გარიგების ფასის ოდენობით. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურს კომპონენტებს, როდესაც მათი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით.

შპს „ბელო და კომპანია“ სისტემატურად მუშაობს, რათა მაქსიმალურად მოახდინოს სავაჭრო მოთხოვნების დროული ამოღება და თავიდან აირიდოს შემდგომი სამართლებრივი პროცედურებ. მიუხედავად ამ ღონიზმიებებისა 2024 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით კომპანიას უფიქსირდება 3,042,896 ლარის სავაჭრო მოთხოვნები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები .

სასაქონლო მატერიალური მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს... (სატრანსპორტო დანახარჯებს, ჩატვრითვის და ასევე გადმოტვირთვის დანახარჯებს და იმ დანახარჯებს რომელიც უშვალოდ არის დაკავშირებული ნედლეულის, მასალების და მზა პროდუქციის შეძენასთან). ჩვენს კომპანიაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების უმრავლესობა წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

ასევე ვფლობთ მარაგებს რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად საქმიანობის პროცესიდან გამომდინარე.

ძირითადი საშუალებები .

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები რომლებიც: იმყოფება კომპანიის განკარგულებაში და გამოიყენება იჯარით გასაცემად, მომსახურების გასაწევად, ადმინისტრაციული მიზნებისათვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგება პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად. მიღებული (შეძენილი) აქტივების (ძირითადი საწარმოო საშუალებების, სასაქონლო-მატერიალური მარაგების) შეფასების აღიარება და ასახვა აღრიცხვაში ხდება მათი ფაქტიური თვითღირებულებით, რომელიც ყალიბდება მათი შეძენის, მათი ტრანსპორტირების, განბაჟების და საკუთრების უფლების გაფორმების ხარჯებით (მათი არსებობის შემთხვევაში)

შპს „ბელო და კომპანიის“ ძირითადი საშუალებები მოიცავს : მიწას, შენობას, სატრანსპორტო საშუალებებს, საოფისე აღჭურვილობას, კომპიუტერულ ტექნიკას, ელექტრო მოწყობილობებს და სხვა ძირითად საშუალებებს.

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით:

ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალებების შეძენის მომენტიდან, ან აშენებული აქტივის შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშება ხდება მსგავს აქტივებთან დაკავშირებული გამოცდილების ფონზე.

სასარგებლო მომსახურების ვადები :

- შენობა - ნაგებობები -30-40 წ
- საოფისე აღჭურვილობა 3-10 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები 7-20 წელი
- ელექტრო მოწყობილობები 5-10 წელი
- კომპიუტერული ტექნიკა -2-7 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები 4-10 წელი

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარა შესაძლებელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი შედის მოგება - ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სასესხო ვალდებულებები .

ფინანსური ინსტრუმენტი კლასიფიცირდება როგორც ვალდებულება თუ საწარმოს არა აქვს უპირობო უფლება, თავი აარიდოს ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადენას სახელშეკრულებო ვალდებულებების დასაფარად.

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც მომწოდებლის მიმართ არსებული ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება , გასდის ვადა ან მნიშვნელოვნად იცვლება არსებული ვალდებულების პირობები (ასეთ ვალდებულება ითვლება , თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, სხვაობა კი აისახება მოგება - ზარალში)

საწარმოს ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველნაირი ხარჯი უნდა აღიაროს როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარები იყო გაწერილი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებთან და ფიზიკურ პირებთან კომპანიას არანაირი სასესხო ვალდებულება არ გააჩნია .

ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

გაცვლითი კურსი	EUR/ლ	USD / ლ
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბერს	2,9306	2,8068
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს	2,9753	2,6894

სავაჭრო და სასესხო ვალდებულებები	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო ვალდებულებები	580,475	69,399
სასესხო ვალდებულებები	0	0

შემოსავლები.

შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლები იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება საქონლის მოსალოდნელი დაბრუნების, ფასდათმობის და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მომხმარებელს გადასცემს მფლობელობასთან და მართვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს და სარგებელს და მომხმარებელი იღებს მათ საკუთარ თავზე. ასევე როდესაც შესაძლებელია ამონაგები თანხის საიმედოდ განსაზღვრა.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღირდება, როცა ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ, არსებული გარიგებიდან კომპანია ელოდება ფინანსურ სარგებელს, შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და სხვა ყველა დანახარჯის საიმედოდ შეფასება.

შპს „ბელო და კომპანიის“ შემოსავლები იყოფა რამდენიმე კატეგორიად :

შემოსავლები	31.12.2024	31.12.2023
საქონლის გაყიდვა	1,155,869	2,578,256
ტექნიკის იჯარა და მომსახურება	17,588,960	16,474,856
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	502,433	1,096,691
საოფისე ფართის იჯარა	289,400	245,328
შემოსავალი მიწის იჯარიდან	305,630	329,569
პროფილაქტიკის მომსახურება	13,148	13,360
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	137,517	649,163

გადასახადები

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლებიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

2016 წელს საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული საგადასახადო კოდექსის ცვლილების შესაბამისად, კომპანია არ ირის ვალდებული გადაიხადოს მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომჟღავნებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება დივიდენდის განაწილება, რომელიც იწვევს მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულებას. მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას, რომელიც ეფუძვნება საანგარიშო წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

კომპანიის მფოლებლისთვის დივიდენდის განაწილება კომპანიის ფინანსურ ინფორმაციაში აღირიცხება, როგორც ვალდებულება კომპანიის მფლობელის მიერ დივიდენდის დამტკიცების პერიოდისთვის. დივიდენდის გადახდაზე კომპანიას რაიმე შეზღუდვები არ გააჩნია.

კომპანია დროულად ისტუმრებს სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე მის კუთვნილ დავალიანებას, არსებული დავალიანება რაც ჩანს ჩვენს ფინანსურ ანგარიშგებაში არის მიმდინარე თვის დავალიანება, რომელიც სრულად გასტუმრებული იქნება შემდეგი თვის 15 რიცხვამდე.

საწარმო რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად. საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით.

კომპანია გაყიდვების/მომსახურების ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ-ს გადახდას სახელმწიფო ბიუჯეტში აწარმოებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში (შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გათვალისწინებით).

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები .

ხარჯები აღიარება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა შესაძლებელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

ხელფასები, საპენსიო ფონდში ჩარიცხული თანხები, ბონუსები და სხვა შეღავათები დარიცხულია იმ პერიოდში, როდესაც კომპანიის თანამშრომლების მიერ მოხდა შესაბამისი მომსახურების გაწევა.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	31.12.2024	31.12.2023
შრომის ანაზღაურება	2,758,358	2,392,391
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	1,061,586	971,823
იჯარის ხარჯი	1,621,772	2,077,959
ბანკის მომსახურების ხარჯი	3,103	3,319
კომუნალური ხარჯი	51,998	52,570
ქონების გადასახადის ხარჯი	152,618	135,569
მოგების გადასახადის ხარჯი	335,612	248,731
პროცენტის ხარჯი	0	0
სხვა ხარჯი	1,321,644	1,395,009
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7,306,691	7,277,371

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები არის ყველა ის მოვლენა, რომელიც მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე. როგორც ხერლსაყრელი, ისე არახერლსაყრელი მოვლენები.

ჩვენი კომპანია მაქსიმალურად ცდილობს ფინანსური სახსრების მობილიზაციას, რათა მოვახდინოთ ტექნიკის განახლება (უახლესი მოდელებით) და გამრავალფეროვნება. ასევე ინვენტარის და ტექნოლოგიების გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი მომსახურების დონის ამაღლებას და გაუმჯობესებას, ეს ყველაფერი კი მოგვცემს მეტ კმაყოფილ მომხმარებელს და ნაკლებ დანახარჯებს ტექნიკის სარემონტო სამუშაოებზე . ჩვენმა კომპანიამ 2022 - წლიდან უზრუნველყო კომპანიის თანამშრომლები ჯანმრთელობის დაზღვევით და ასევე მოვახდინეთ გარკვეული ტექნიკის ნაწილის (თვითმცლელების) დაზღვევა, რათა თავიდან ავიცილოთ გაუთვალისწინებელი ხარჯები როგორც კომპანიისთვის ასევე ჩვენი პერსონალისთვის. რაც ხელს შეუწყობს მათ კომფორტულ გარემოში ეფექტიანად მუშაობაში.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოება, რომლის ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება იქნებოდა საჭირო არ მომხდარა.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 29 სექტემბერს.

შპს „ბელო და კომპანია“-ს დირექტორი

თარიღი: 2025 წლის 29 სექტემბერი

